

K 36.684  
2



# ქსეშ



მ. შ. ა. შ. შ. შ. შ. შ.

ს. შ. შ. შ.

36.684  
2



გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“  
თბილისი — 1969





კურორტი ჯავა მდებარეობს სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ქალაქ ცხინვალიდან 22 კილომეტრის დაშორებით. ცხინვალი ჯავას უკავშირდება საავტომობილო გზით, სადაც მუდმივად მოძრაობს ავტობუსები.

კურორტი მოთავსებულია კავკასიონის ქედის ცენტრალური ნაწილის სამხრეთ კალთაზე, მდინარე ლიახვის ულამაზეს ხეობაში, რომელიც შემოფარგლულია წიწვოვან-ფოთლოვანი ტყეებით. კურორტის თვალწარმტაცი პეიზაჟი იზიდავს მრავალ ტურისტსა და ექსკურსანტს.

სამხრეთ ოსეთის საკურორტო ადგილებს შორის თავისი ადგილმდებარეობით და მდიდარი სამკურნალო ფაქტორების იშვიათი შეხამებით ჯავას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

ჯავის მთის ჰავა ზომიერად თბილი და ტენიანია, ჭარბობს ნათელი, მზიანი დღეები. კლიმატის ფორმირებაზე გავლენას ახდენს: კურორტის მდებარეობა საშუალო სიმაღლის მთის ზოლში, ზღვის დონიდან 1100 — 1200 მეტრზე; ჩრდილოეთის ცივი ქარებისაგან კავკასიონის ქედით დაცვა; ადგილის ოროგრაფია და ფოთლოვანი ტყეების მასივებით გარემოცვა. შედარებით მცირე ფართობი და ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობა ხელს უწყობს მზის რადიაციისა და ულტრაიის-




ფერი სხივების სიუხვეს. წლის საშუალო ტემპერატურა 8 გრადუსია, ყველაზე თბილი თვის (აგვისტო) საშუალო ტემპერატურა აღწევს 18,2 გრადუსს, ხოლო ყველაზე ცივი თვის (იანვარი) — 3,1 გრადუსს. ამრიგად, ჯავა მდებარეობს ზომიერად კონტინენტურ ზონაში და ზაფხულის თვეებში დღის ეფექტური ტემპერატურა უმრავლეს შემთხვევაში კომფორტული ზონის ფარგლებშია.

კურორტის ოროგრაფია ხელს უწყობს ჰავის შერბილებას, რის გამოც დღე-ღამის ტემპერატურის მერყეობის ამპლიტუდა მცირეა. ქარების რეჟიმი ძირითადად ადგილობრივი ცირკულაციით ხასიათდება და მისი საშუალო სიჩქარე მერყეობს 1,0 — 2,0 მ/წ. ასეთი ხასიათის ქარებს დიდი მნიშვნელობა აქვს კურორტის ვენტილაციისათვის. ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე, ჯავის კლიმატი მზის სხივებით მაქსიმალურად სარგებლობის და სამკურნალო ღონისძიებათა საერთო კომპლექსში აეროჰელიოთერაპიის წარმატებით გამოყენების საშუალებას იძლევა.

კურორტი ჯავა განთქმულია თავისი მინერალური წყლით ძაუ-სუარით, მისი ბუნებრივი გამოსავალი, რომელიც მდინარე დიდი ლიახვის მარჯვენა მხარეს მდებარეობს, დაკავშირებულია მეოთხეულ წარმონაქმნებთან. ამ რაიონში განვითარებულია ე. წ. ბაიოსის ვულკანოგენური წყება, რომელიც იფარება ნეოგენური ნალექებით. საძიებო ბურღვით მინერალური წყლის მიღების შემდეგ ბუნებრივი წყარო გაქრა. ამ უბანში გაჭრილია 50-მდე საძიებო ბურღილი, მათ შორის სამკურნალო მიზნისათვის, მინერალიზაციის მხრივ, ყველაზე მისაღებია № 14ა ბურღილი, რომლის ექსპლოატაცია დღემდე წარმოებს. 1952 წელს № 14ა ბურღილიდან 300 მეტრის დაშორებით, მდინარე






5

კურორტის საერთო ხედი





დიდი ლიახვის მარჯვენა ნაპირზე, ჩატარებული ბურღვის შედეგად მიღებულია (№ 16 და № 17 ბურღილი) ესენტუკის ტიპის წყალი, რომელსაც პულსაცია და შედარებით მაღალი მინერალიზაცია ახასიათებს. ეს საშუალებას გვაძლევს გამოვთქვათ მოსაზრება, რომ ჯავის მინერალური წყლის გამოსავლები არ არის შემოსაზღვრული № 14 ბურღილის მცირე უბნით, არამედ უჭირავს საკმაოდ დიდი ფართობი, რომლის ძიებაც ჯერ არ დამთავრებულა.

ჯავის მინერალური წყლის ფორმირების შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა: ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ ჯავის მინერალური წყალი სიღრმიდან ამოსული მაღალმინერალიზებული ქლორ-ნატრიუმიანი და ნეოგენურ ნალექებში მყოფი სოდიანი წყლების ნარევიანაა.

№ 14 ბურღილის დებიტი დასაწყისში აღწევდა 9000 ლ/დღე-ღამეში. შემდგომ წლებში მერყეობდა 5000 ლიტრამდე, ხოლო ამჟამად ამოქაჩვის გამო თვითდენას არ იძლევა.


ჯავის წყლის ქიმიური ანალიზი პირველად 1925 წელს რ. დ. კუბცისმა ჩაატარა, რის შედეგადაც მინერალური წყალი „დაუ“ მიეკუთვნა ნახშირმჟავა-ჰიდროკარბონატულ-ქლორიდულ-ნატრიუმიან (ესენტუკის ტიპის) წყლებს. შემოაღნიშნული წყლის შემდეგი გამოკვლევები ეკუთვნის სმირნოვს (1929 წ.), უსტიევს (1930 წ.), ულუხანოვს (1935 წ.), კუბცისს (1936 წ.) და სხვ. შემდგომში პერიოდულად ჩატარებული წყლის ანალიზების საფუძველზე გამოირკვა, რომ ზემოაღნიშნული მინერალური წყლის ტიპი მუდმივია, ხოლო მინერალიზაცია თანდათან კლებულობს. ეს დებულება დასტურდება მინერალური წყლის უკანასკნელი ანალიზებით, რომლის მონაცემები მოყვანილია ქვემოთ.



ქიმიკოსი სანაკოვევა  
25/XII—1966 წ.

იონები	გ/ლ	მგ. ეკვ.	მგ. ეკვ. %
Na' + K	1,2183	52,97	79,77
Mg	0,0676	5,48	8,23
Ca	0,1593	7,95	12,00
		66,40	100,00
Cl'	0,7660	21,60	32,50
HCO <sub>3</sub> '	2,7328	44,80	67,50
CO <sub>2</sub>	* 1,400	66,40	100,00


ბალნეოლოგიური ფორმულა:



დაუს წყალს, მის შედგენილობაში გოგირდის არსებობის გამო, აქვს გოგირდწყალბადის სუნი, რომელიც ბოთლებში ჩამოსხმის შემდეგ სრულიად ქრება. წყალი გაჯერებულია ნახშირმჟავა გაზით, რაც მას რკინის გემოს უკარგავს. უშუალოდ წყაროდან აღებული წყალი სრულიად გამჭვირვალეა, ხოლო ჰაერთან შეხებისას იგი იმღვრევა, რადგან ხდება რკინის დაჯანგვა და მისი ჰიდროქსიდის სახით ნალექში გამოყოფა.

წყალი სუსტი მჟავე რეაქციისა. წყაროდან ახლად მიღებული წყლის pH მერყეობს 6,5 — 6,7; დაყოვნების შემდეგ ეს მაჩვენებელი თანდათან მატულობს, ხოლო ნახშირმჟავას და-





მინერალური წყლის ჩამომსხმელი ქარხანა

კარგვის შედეგად ტუტოვანი ხდება. ჯავის წყლისათვის დამახასიათებელია მცირე რაოდენობით ამონიუმის შემცველობა, რომელსაც მინერალურ წარმოშობას მიაწერენ. ბაქტერიულად ძაუ-სუარი წმინდაა. იგი მდიდარია ბუნებრივი ნახშირმჟავათი



და შეიცავს საკმაო რაოდენობით რკინას, ბრომსა და იოდს.  
წყლის ტემპერატურა 10 — 11 გრადუსამდეა.

კურორტის მთავარი სამკურნალო ფაქტორებია ნახშირმჟავა-ჰიდროკარბონატულ-ქლორიდულ-ნატრიუმისა და წყალი და ჯანსაღი მთის ჰავა, რის გამოც ჯავა ბალნეოკლიმატურ კურორტების ჯგუფს მიეკუთვნება. კურორტზე ამჟამად მუშაობს სანატორიუმი და პანსიონატი. ზაფხულის თვეებში კი ეწყობა პიონერთა ბანაკები და საბავშვო ბაღები.

აქ არის მინერალური წყლის ჩამომსხმელი ქარხანა, საიდანაც წყალი იგზავნება საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში. კურორტზე სამკურნალო სეზონი გრძელდება 25 აპრილიდან ნოემბრის ბოლომდე.

ძაუს მინერალური წყლის სამკურნალო მნიშვნელობა ადგილობრივი მოსახლეობის მიერ დიდი ხანია აღიარებულია. XVIII საუკუნის ცნობილმა გეოგრაფმა ვახუშტი ბატონიშვილმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ძაუს მინერალურ წყალს. მიუხედავად ამისა, სხვა მრავალი სამკურნალო წყლებისა და ადგილების მ'გავსად, ჯავას სათანადო ყურადღება მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მიექცა; დაიწყო საბჭოთა კავშირის მრავალფეროვან ბუნებრივ საკურორტო სიმდიდრეთა შესწავლა-ათვისება. 1924—1925 წლებში საქართველოს ჯანსახკომის მიერ გაგზავნილმა სპეციალურმა კომისიამ წარმოადგინა პირველი საორიენტაციო ცნობები ამ ადგილის სამკურნალო მონაცემების შესახებ.

ამის შემდეგ საქართველოს კურორტოლოგიის ინსტიტუტმა დაიწყო ჯავის საკურორტო რესურსების სისტემატური შესწავ-



ლა: პიდროგეოლოგიური ძიებანი, წყლის ქიმიური გამოკვლევა და ორგანიზმზე მისი სამკურნალო მოქმედების დადგენა.

ძაუ-სუარის გავლენა სხვადასხვა ქრონიკული დაავადების დროს რიგმა მკვლევარებმა შეისწავლეს როგორც კურორტზე, ისე მის გარეშე პირობებში.

დადგენილია ამ წყლის დადებითი მოქმედება ჰიპოაციდური გასტრიტით და კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულით დაავადებულებებზე, კუჭის წვენის დაქვეითებული მჟავობის შემთხვევებში. საწინააღმდეგო შედეგებია მიღებული მაღალი მჟავობის დროს (ჰიპერაციდური გასტრიტები), როდესაც მინერალური წყლის გავლენით კუჭის წვენის მჟავობა კიდევ უფრო მატულობს, და ამასთან ერთად ხდება ავადმყოფთა თვითგრძნობის გაუარესება. მიღებული მონაცემების შედეგად, ზემოაღნიშნული დაავადების დროს წინააღმდეგ ნაჩვენებია ძაუ-სუარის მინერალური წყლით მკურნალობა. აღნიშნული მინერალური წყლის დადებითი გავლენა დადასტურებულია აგრეთვე ნალვლის ბუშტისა და სანალვლე გზების დაავადების დროს. ამ წყლის ნალვლისმდენი, ნალვლის გამათხელებელი და ანთების საწინააღმდეგო თვისებები საფუძვლად უდევს ამ დაავადებათა მკურნალობას. ძაუ-სუარის შარდმდენი, ანტიკატარული და ნივთიერებათა ცვლის მარეგულირებელი თვისებების გამო მისი გამოყენება რაციონალურია პიელიტის, ცისტიტის, ურეთრიტის, ნივთიერებათა ცვლის მოშლისა და მჟავე დიათეზის დროს.

ჯავის სამკურნალო ფაქტორების გავლენით აღნიშნულია აგრეთვე დადებითი ძვრები სისხლმზადი სისტემის მხრივ, რაც უმთავრესად წითელი სისხლის სურათის გამოსწორებაში გამოიხატება.



11



სანატორიუმის მთავარი კორპუსი





დაკვირვების შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე გამომუშავებულია მეცნიერულად დასაბუთებული მკურნალობის მეთოდის და დაზუსტებულია ჩვენებანი და წინააღმდეგ-ჩვენებანი ჯავაში მკურნალობისათვის.

წყლის ერთჯერადი მიღების ჩვეულებრივი დოზაა 200—250 მილილიტრი. იგი ინიშნება კუჭის სეკრეციასთან შეფარდებით, ჭამის წინ, სამჯერ დღეში. მინერალური წყლის დანიშვნის დროს ანგარიში უნდა გაეწიოს ავადმყოფის ინდივიდუალურ თავისებურებას, სხვა ორგანოების ისეთ მდგომარეობას, რომლის დროსაც არ შეიძლება სითხის დიდი რაოდენობით მიღება, კუჭის აწეულ მგრძნობელობას მინერალური წყლის მიმართ, ფაღარათობისადმი მიდრეკილებას, ასეთ შემთხვევებში მკურნალობას იწყებენ უფრო მცირე დოზებით (50 — 100 მლ).

ცნობილია, რომ ორგანიზმის ნორმალურ ფუნქციას გააჩნია გარკვეული მაჩვენებლები, რომელთა აღრიცხვა და ზოგჯერ ციფრებში გამოხატვა ზუსტად არის შესაძლებელი. მაგალითად, ჯანმრთელი ადამიანის კუჭის ჯირკვლების სეკრეციულ ფუნქციას აქვს შედარებით ზუსტი მაჩვენებლები მჟავობისა, კუჭის წვენი მონელების უნარისა და სხვ. მინერალური წყალი შეცვლილ ფუნქციაზე ისეთ მოქმედებას იჩენს, რომ მიჰყავს იგი ნორმამდე ან უახლოებს მას.

ამგვარად, ერთი და იგივე მინერალურმა წყალმა კუჭის წვენი მჟავობის დაქვეითებისას შეიძლება გამოიწვიოს მისი მომატება, ხოლო მჟავობის მომატების შემთხვევაში — მისი დაქვეითება, მაგრამ მინერალური წყლები მაინც განსხვავდებიან ერთიმეორისაგან: ზოგიერთ მინერალურ წყალს გააჩნია უფრო მკვეთრად გამოხატული წვენი გამომყოფი მოქმედება (№ 17 ესენტუკი, ძაუ-სუარი), ზოგს კი ეს თვისება უფრო





სუსტად აქვს გამოხატული. იგივე შეიძლება ითქვას მათი შემაკავებელი მოქმედების შესახებ. მაგალითად, ბორჯომისა და ქელეზნოვოდსკის მინერალურ წყლებს სეკრეციის უფრო ძლიერი შემაკავებელი თვისებები აქვს, ვიდრე № 17 ესენტუკის წყალს ან ძაუ-სუარს.

ხანგრძლივი, კურსობრივი მკურნალობის დროს მინერალური წყლის მოქმედება უფრო მეტად არის გამოხატული. ამ დროს მიღებული ეფექტი წარმოადგენს ორგანიზმში მომხდარი იმ რთული ცვლილებების ჯამს, რომლებიც ვითარდება მინერალური წყლის ცალკეული, ერთჯერადი მიღების დროს. ორგანიზმი, აგროვებს რა ასეთნაირად მიღებული მინერალური წყლის მოქმედების ეფექტს, კურსობრივი მკურნალობის დამთავრებისას იძლევა საერთო შეჯამებულ შედეგს — გაუმჯობესებას ან გამოჯანმრთლებას.

მინერალური წყლის გავლენა ორგანოთა ფუნქციაზე თავს იჩენს არა მხოლოდ მისი მიღების პერიოდში, არამედ შემდეგაც. ავადმყოფის გაჯანსაღების პროცესი არ იფარგლება კურორტზე ავადმყოფის მკურნალობის პერიოდით, იგი გრძელდება კურორტიდან წასვლის შემდეგაც. არც ისე იშვიათია შემთხვევები, როდესაც კურორტზე მკურნალობის პროცესში ავადმყოფს არ აღენიშნება შესამჩნევი გაუმჯობესება და უკანასკნელი თავს იჩენს კურორტიდან დაბრუნების შემდეგ. უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთ შემთხვევებში ადგილი აქვს ცალკეული ეფექტურობის სუმაციას, რის შედეგადაც იქმნება შედარებით მყარი და ხანგრძლივი ეფექტი. ეს დასკვნები მეცნიერების მიერ დადგენილია მრავალრიცხოვანი ექსპერიმენტული კვლევისა და კლინიკურ დაკვირვებათა საფუძველზე.

ი. ბ. პავლოვის ლაბორატორიაში დადგენილი ფაქტები და



შემდგომი ექსპერიმენტული კვლევის მონაცემები საჭმლის მომ-  
ხელბელ ორგანოებზე მინერალური წყლების გავლენის შესა-  
ხებ საფუძვლად დაედო მათ გამოყენებას სხვადასხვა ქრო-  
ნიკული დაავადების დროს. ჩატარებული კვლევით აღინიშნა  
მინერალური წყლების დიდი გავლენა კუჭის სეკრეციაზე. დად-  
გინდა, რომ ერთი და იგივე წყლის მოქმედება ყოველთვის  
ერთნაირი არ არის და დამოკიდებულია მრავალ პირობაზე.  
განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ცენტრალური ნერვული  
სისტემის მდგომარეობას, კუჭის წვენის მჟავობის ხარისხს  
მკურნალობის დაწყებამდე, მინერალური წყლის მიცემას საჭ-  
მლის მიღებასთან დაკავშირებით, მიღებული წყლის ტემპერა-  
ტურას, რაოდენობას და სხვა.

მინერალური წყლის მოქმედების ძირითად პრინციპს წარ-  
მოადგენს მისი მანორმალური გავლენა, რომლის მექანიზმი  
ძალზე რთულია და ხორციელდება ძირითადად ცენტრალური  
ნერვული სისტემის გზით.

საინტერესოა მინერალური წყლის მოქმედების დამოკიდე-  
ბულება საჭმლის მიღების დროსთან.

დიდი ხანია დადგენილია, რომ მინერალური წყალი საკვებ-  
თან ერთად, ან მცირე დროით ჭამის წინ მიღებული, იძლევა  
წვენის გამოყოფის მკაფიო მომატებას, მაგრამ ჭამამდე 1—1,5  
საათით ადრე მიღებული იჩენს შემაკავებელ მოქმედებას. პირ-  
ველ შემთხვევაში მინერალური წყალი აძლიერებს კუჭის კედ-  
ლების გაღიზიანებას, გამოწვეულს საკვების მიღებით; შეერევა  
რა მას, უფრო დიდხანს ყოვნდება კუჭში. მეორე შემთხვევაში  
სეკრეციის შეკავება ვითარდება მინერალური წყლის კუჭიდან  
წვრილ ნაწლავებში გადასვლისა და აქედან მისი რეტროგრა-  
დული მოქმედების შედეგად. აქ იწოვება საკვები ნივთიერებე-



ბისა და მინერალური წყლის შემადგენელი ნაწილები, რომლებიც სისხლის მიმოქცევის სისტემით ღვიძლისკენ მიიმართება. აქედან ხორციელდება მისი მოქმედება ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე და ცალკეულ ორგანოებზე.

ზოგიერთ მკვლევარს დასაშვებად მიაჩნია, რომ ნაწლავებიდან მინერალური წყლის შემაკავებელი მოქმედება ხორციელდება იმ ჰორმონების გზით, რომლებიც ნაწლავის კედელში წარმოიშვებიან და შემაკავებლად მოქმედებენ კუჭის სეკრეციაზე.

მხედველობაშია მისაღები კუჭის მოტორულ-ევაკუატორული ფუნქციის თავისებურებანიც. დაქვეითებული მჟავობის დროს, როდესაც კუჭის გასავალი ღიაა, კუჭი ძალზე სწრაფად იცლება; აწეული მჟავობის, კუჭის ატონიის, სპაზმებისა და კუჭის გასავლის ნაწიბუროვანი ცვლილებებისას წყლის გადასვლის დრო იზრდება. ამის გამო, დაავადების თავისებურებათა მიხედვით, საკვების მიღებასთან დაკავშირებით, მინერალურ წყალს სხვადასხვანაირად იღებენ:

კუჭის წვენის დაქვეითებული მჟავობის დროს იგი მიიღება ჭამამდე 15—30 წუთით ადრე იმ ანგარიშით, რომ შემდეგ მიღებულმა საკვებმა მას კუჭში მოუსწროს, უკანასკნელს შეერიოს, უფრო დიდხანს შეჩერდეს კუჭში და გამოიჩინოს გამოხატული მასტიმულირებელი გავლენა. ამ დროს მხედველობაში მიიღება კუჭის ევაკუაციური ფუნქციის მდგომარეობა, კერძოდ, მისი შენელებისას წყლისა და საკვების მიღებას შორის ინტერვალი იზრდება და, პირიქით, სწრაფი გადასვლისას მცირდება.

ამავე დროს საჭიროა მინერალური წყლის ნელი მიღება, რაც ხელს უწყობს კუჭის ლორწოვანი გარსის უკეთეს მორწყვას და წყლის უფრო ხანგრძლივ დაყოვნებას კუჭში.





მინერალური წყლის დასალევი კუთხე



კუჭის წვენის მომატებული მჟავობის დროს მინერალური წყალი მიიღება საკვების მიღებიდან 1 — 1,5 საათით ადრე; ამ დროისათვის, თუ ევაკუაცია შენახულია, კუჭში მოხვედრილი მინერალური წყალი გადადის ნაწლავებში, საიდანაც რეფლექსურად იჩენს კუჭის სეკრეციის შემაკავებელ მოქმედებას. ამავე დროს წყალი სწრაფად უნდა იქნას მიღებული, ერთი გადაკვრით, რადგან ეს ხელს უწყობს მის სწრაფ გადასვლას ნაწლავებში და ამით მცირდება წყლის გამაღიზიანებელი გავლენა კუჭის სეკრეციაზე.

136.687

კუჭის წვენის მომატებული მჟავობის დროს საჭიროა გამთბარი მინერალური წყლის მიღება. გათბობისას გამოიყოფა ნახშირმჟავა გაზი, რომელიც წარმოადგენს კუჭის სეკრეციის გამაძლიერებელ აგენტს. გამთბარი მინერალური წყალი ადვილად ხსნის და მექანიკურად ჩარეცხავს კუჭში არსებულ ლორწოს; იგი იძლევა სპაზმის საწინააღმდეგო და ტკივილგამაყუჩებელ ეფექტს (უკანასკნელი მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული გასტრიტის ყველა ფორმის დროს). ასეთი მოქმედების გამო, გასტრიტებისა და კოლიტების დროს, გამთბარ მინერალურ წყალს იყენებენ კუჭის გამორეცხვის, სიფონის ოყნისა და სუბაქვალური აბაზანებისათვის.

თუ კუჭის წვენის რაოდენობა და მისი მჟავობა ნორმის ფარგლებს არ სცილდება და კუჭის ევაკუაცია შეუსცვლელია, მინერალური წყალი ჭამამდე 40 — 50 წუთით ადრე უნდა იქნეს მიღებული. ამ დროს არ აღინიშნება არც მასტიმულირებელი და არც შემაკავებელი მოქმედება.

კურორტული მკურნალობის არსი მდგომარეობს კურორტებზე არსებულ ბუნებრივ-სამკურნალო და დამატებითი ფაქ-







### დამსვენებელთა მკურნალობა

ტორების კომპლექსურ გამოყენებასა და მათ სათანადო შეხამებაში. მაგალითად, მინერალური წყლებით მკურნალობა ხშირად გამოიყენება კლიმატურ ფაქტორებთან და ფიზიოპროცედურებთან ერთად.

დადებითი ფონის შექმნა ხელს უწყობს მკურნალობის



წარმატებას, რაც ყოველთვის გათვალისწინებული უნდა იყოს ავადმყოფის ყოფნა მის ფსიქიკისათვის შესაფერის გარემოში სპეციალური მკურნალობის გარეშეც კი შეიძლება აღმოჩნდეს მძლავრ სამკურნალო ფაქტორად.

სწორი კვება, დასვენება, სათანადო რეჟიმი, კარგი საყოფაცხოვრებო პირობები ხელს უწყობს ჯანმრთელობის აღდგენას, ორგანოთა ნორმალურ მუშაობას და სამკურნალო ფაქტორთა მოქმედების ეფექტურობას.

კურორტზე დასვენება ათავისუფლებს ადამიანს შრომის პირობებთან დაკავშირებულ გარეშე გამაღიზიანებლებისაგან და უზრუნველყოფს დამზოგველი პირობების შექმნას, ეს კი ხელს უწყობს ფიზიკური ძალის, ცენტრალური ნერვული სისტემისა და შინაგან ორგანოთა შეცვლილი ფუნქციების აღდგენას.

მაგრამ დასვენება არ ნიშნავს უსაქმურობას.

აუცილებელია სიმშვიდის შეხამება ფიზიკურ და ფსიქიკურ აქტივობასთან, რაც ხელს უწყობს ცენტრალური ნერვული სისტემის სათანადო ტონუსის შენარჩუნებას.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს სწორად ჩატარებულ სამკურნალო ფიზკულტურას, დილის ვარჯიშს, სამკურნალო სიარულს, სხვადასხვა სახის თამაშს.

აქტიური დასვენება ითვალისწინებს ადამიანის სულიერ მოთხოვნილებათა მუდმივ დაკმაყოფილებას. გონივრულად ორგანიზებული კულტურული დასვენება ამცირებს ავადმყოფის ყურადღებას მის დაავადებისადმი. ემოციურობის თვალსაზრისით დასვენება მარტო სასიამოვნო გართობა როდია, იგი წარმოადგენს სამკურნალო საშუალებასაც. გართობა აკმაყოფილებს ავადმყოფის ცნობისმოყვარეობას, ამდიდრებს გონებრივ ინტე-



რესებს, ააქტივებს მკურნალობას და მათებს ავადმყოფს ნა-  
ლისსა და სიცოცხლისუნარიანობას.

მკურნალობის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს კლიმატური  
ფაქტორების, კერძოდ, ჰაერისა და მზის აბაზანების სწორად  
გამოყენებას, ჰაერზე ძილს და სხვა. მზის სპექტრის ულტრა-  
იისფერი სხივების, ინფრა-წითელი ნაწილის და მთის სუფთა  
ჰაერის ზეგავლენით ორგანიზმში ვითარდება ღრმა ძვრები:  
უმჯობესდება ტროფიკული, პლასტიკური და ცვლის პროცე-  
სები, მატულობს ძალა, ენერგია და კომპენსატორული მოვლე-  
ნები.

მკურნალობის ეფექტურობაზე არსებით გავლენას ახდენს  
სწორად შედგენილი სანატორიული რეჟიმი, რომელმაც ხელ-  
საყრელი პირობები უნდა შექმნას კურორტული ფაქტორების  
მოქმედებისათვის. სანატორიული რეჟიმის პირობებში დიდი აღ-  
მზრდელობითი მნიშვნელობა აქვს დღის განაწესს. მონოტონუ-  
რობა და რიტმულობა ხელს უწყობს ფიზიოლოგიური პროცე-  
სების ნორმალურ მსვლელობას. ახალი სასარგებლო ჩვევების  
ჩამოყალიბებისათვის დღის რეჟიმი უნდა შედგეს ფხიზლობისა  
და სიმშვიდის მონაცვლებით. თუ ჯანმრთელი ადამიანისათვის  
ძილი წარმოადგენს ნორმალური შრომისუნარის აღდგენისა და  
უჯრედული ენერგიის დაგროვების საშუალებას, ავადმყოფისა-  
თვის იგი სამკურნალო ფაქტორია.

თუ შინაურ პირობებში ავადმყოფს აკლდა ძილი, ხოლო  
ნერვული სისტემა დაძაბული ჰქონდა ინტენსიური, განსა-  
კუთრებით გონებრივი შრომით, ფიზიოლოგიური ძილის გა-  
ხანგრძლივება და დღისით დასვენების საათების დამატება  
უდავოდ სასარგებლო ფაქტორია სამკურნალო ღონისძიებათა  
კომპლექსში.





სანატორიუმის სასადილო





კვების სწორი ორგანიზაცია ავადმყოფთა მკურნალობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ვიწრო გაგებით იგი გულისხმობს საკვების მიღების სიხშირეს და მის რაოდენობას. მაგრამ კვების რეჟიმი მოიცავს უფრო ფართო საკითხებს: კალორიულობის სადღეღამისო განაწილებას, კვების ინდივიდუალიზაციას იმ დაავადების შესაბამისად, რომელიც მოითხოვს სპეციალურ რაციონს და სხვა.

ამგვარად, კურორტ ჯავაში სწორად ორგანიზებული სანატორულ-კურორტული რეჟიმის ფონზე, რაციონალური, კომპლექსური მკურნალობის ჩატარება (ძაუ-სუარის, სამკურნალო კვების, სამკურნალო ფიზკულტურის, კლიმატოპროცედურების, ფიზიოთერაპიისა და სხვ. გამოყენება) უზრუნველყოფს ამ კურორტისათვის ნაჩვენებ დაავადებათა დროს მკურნალობის საუკეთესო შედეგს.



## ჩვენებანი და წინააღმდეგჩვენებანი კურორტ ჯავახი მკურნალობისათვის

### ჩვენებანი

#### I. კუჭ-ნაწლავთა დაავადება

1. ქრონიკული გასტრიტები დაქვეითებული მკავობით (სუსტად გამოხატული ევაკუაციის მოშლით).
2. კუჭის სეკრეციული ფუნქციის მოშლა-დაქვეითება.
3. კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება ქრონიკულ სტადიაში (ნორმალური და დაქვეითებული მკავობით).
4. ქრონიკული კოლიტები (წყლულების გარეშე).

#### II. ღვიძლისა და ნაღვლის სადინარების დაავადება

1. ნაღვლის ბუშტის და სადინარების ქრონიკული ანთება.
2. ნაღვლის ბუშტის კენჭოვანი დაავადება (თუ არ არის ნაღვლის სადინარების დახშობა).
3. ქრონიკული გეპატოხოლეცისტიტი.



### III. ნივთიერებათა ცვლის მოშლა

1. ნიკრისის ქარები (პოდაგრა) მწვავე შეტევის გარეშე
2. სიმსუქნე (მძიმე ფორმების გარდა).
3. შაქრიანი დიაბეტი (მსუბუქი და საშუალო ფორმა).
4. ფოსფატურია.

### IV. ნერვული სისტემის დაავადება

1. ფუნქციური ნერვული სისტემის დაავადება, თუ ის ერთვის საჭმლის მომ-  
წოდებელ ორგანოთა დაავადებას.

### V. სასუნთქ ორგანოთა დაავადება

1. ბრონქული ასთმის და ემფიზემის იოლი ფორმები, თუ ისინი ერთვიან  
საჭმლის მომწოდებელ ორგანოთა დაავადებას.
2. ქრონიკული ბრონქიტი.
3. შეხორცებითი პლევრიტი.

## ნინააღმდეგვენეხანი

### I. კუჭ-ნაწლავის დაავადება

1. კუჭის სეკრეციული ფუნქციის გაძლიერება.
2. მკვეთრად გამოხატული ევაკუაციული ფუნქციის მოშლა.
3. წყლულოვანი დაავადება გამწვავების სტადიაში და სისხლდენისადმი  
მიდრეკილებით ევაკუაციის მოშლით.
4. წყლულოვანი კოლიტები და ამებური დიზენტერია.

### II. ღვიძლის და ნაღვლის სადინარების დაავადება

1. ნაღვლის სადინარების დახშობა, ჩირქოვანი ქოლანგიტი, ნაღვლის ბუშ-  
ტის ჩირქოვანი დაავადება.



### III. თირკმლის და შარდის გზების დაავადება

1. ნეფრიტები, ნეფროზები.

### IV. ნივთიერებათა ცვლის მოშლა

1. მძიმე ფორმის დიაბეტი.

2. თქსალურია.

### V. საერთო წინააღმდეგობრივადი კურორტზე გაგზავნისათვის



რედაქტორი ა. არაბელიძე  
მხატვარი დ. გრიგოლია  
მხატვრული რედაქტორი დ. დუნდუა  
ტექნიკური რ. მელაძე.  
კორექტორი ზ. გვიმრაძე

ხელნაწერილია დასაბეჭდად 5/VI-68.  
ქაღალდის ზომა 70x1081/49, ნაბეჭდი თაბახი. 1,22  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 0,8  
უე 01703 ტირაჟი 6,000 შეკვ. № 1238  
ფასი. 7 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“  
თბილისი, მარჯანიშვილის 5  
1969

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო  
კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი,  
თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Главполиграфпрома Государственного  
комитета Совета Министров Грузинской ССР по печати  
Тбилиси, ул. Марджанишвили № 5.



Маргарита Артемовна Шарафян

Д ж а в а

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвелო»

Тбилиси, Марджанишвили, 5.

1968



615.8

615.825 + 614.213 (47.922)

× 14

5-1  

---

68 028.



244/302



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

